

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-4 კლასი

- ჩაწერეთ გამოსახულება: სამოცდასამისა და ოცდაორის სხვაობა გაზარდეს თორმეტით:  
A.  $63-(22+12)$  B.  $(63-22)+12$  C.  $63-22-12$
- დაალაგეთ რიცხვები 79, 97, 87 კლებადობით (უდიდესიდან უმცირესისკენ)  
A. 97, 87, 79 B. 79, 87, 97 C. 97, 79, 87
- რომელი რიცხვია 17-ზე 10-ით მეტი? A) 17 B) 7 C) 27
- რამდენი კუთხე აქვს ჯამში 3 ხუთკუთხედსა და 1 სამკუთხედს?  
A. 16 B. 18 C. 20
- იპოვეთ ერთნიშნა რიცხვების ჯამი  
A. 45 B. 72 C. 91
- გამოიცანით რა ციფრი უნდა ეწეროს ბოლო, ანუ მეხუთე ადგილზე? 19, 15, 11, 7, ...  
A. 6 B. 5 C. 3
- ჩამოთვლილებიდან რომელია მეტი? A.  $23+25$  B.  $13+15$  C.  $11+9$
- უმცირეს ორნიშნა რიცხვზე 89-ით მეტი რიცხვია:  
A. 88 B. 100 C. უდიდესი ორნიშნა რიცხვი
- გამოთვალეთ:  $(6 - 4 + 2) \times 2 =$   
A. 8 B. 1 C. 0
- დავითს ჰყავს 3 ძმა და 4 და. რამდენი და ჰყავს მის დას ანას?  
A. 1 B. 3 C. 4

ბონუს დავალებები

*ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.*

- მაგთის ბონუს კითხვა.

ერეკლე მაგთის მობილურ ინტერნეტში ყოველ თვე 4 ლარს იხდის. რამდენი ექნება მას გადახდილი 3 თვეში?

- A. 16 ლარი B. 8 ლარი C. 12 ლარი

- ბავშვები სპორტის გაკვეთილზე ერთ რიგად განლაგდნენ. ზურა ნინოს უკანაა და მათ შორის 1 მოსწავლე დგას. ნინოს წინ 15 ბავშვია, ხოლო ზურას უკან კი 13. სულ რამდენი ბავშვია რიგში?

- A.31 B.30 C.29

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: <https://kings.ge/register>

3. მამის, დედის და შვილის ასაკთა ჯამი 38 წელია. რა იქნება მათი ასაკთა ჯამი 9 წლის შემდეგ?

A.38

B.56

C.65